სსიპ სოფელ ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა

სატენდერო დოკუმენტაცია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

საწვავის (დიზელის) შესყიდვაზე

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 121 მუხლის და „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის №9 ბრძანების საფუძველზე.

ხელვაჩაური

2011 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილისათვის ——————————————— 3

2. ტექნიკური დოკუმენტაცია ——————————————————————— 6

3 ტექნიკური პირობები ——————————————————————————-7

4 დამატებითი ინფორმაცია ——————————————————————————-8

5 სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრთა ვინაობა და საკონტაქტო ინფორ მაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცე დურების შესახებ ---------- 8

6. ხელშეკრულება---------- 9

7 აფიდავიტი---------- 14

8. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა----------15

9 ფასების ცხრილი---------- 16

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებისა და „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის" შესაბამისად.
2. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადსტურებთ სისტემის მეშვეობით).
3. ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იყოს წარმოდგენილი

სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

5. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი, ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში, შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე.
6. ამ ინსტრუქციის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.
7. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს.
8. მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.
9. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისაგან და ტექნიკური დოკუმენტაციისაგან.
10. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.
11. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ ,თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
12. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.
13. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.
14. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.
15. დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.
16. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინწადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში –კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.
17. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები,სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით.ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.
18. იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა

სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

19. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს,შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება,რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

20. თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

21. იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიარა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

22. პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას;

ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში)კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

23. ამ პუნქტის 22–ე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს,თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა დასატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

24. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ", „რ", „ს", და „ტ" ქვეპუნქტების გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც: ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე; ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად; გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში.

25. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ინსტრუქციის 24-ე პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

26 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ,თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიკაცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული

ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა,თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით,აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი მიზეზებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის აანაზღაუროს შესყიდვის მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

27. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

28. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

29. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

30. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდრო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

31. პრეტნდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი

დოკუმენტები:

1.1.1 იურდიული პირისათვის

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან,

რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობას, საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ (ცნობა

წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

1.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა უფებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს

გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი.

გ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ.

1.3 როგორც ფიზიკური ასევე იურდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიულ პირთა

რეესტრიდან;

ბ) საწვავის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი;

გ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა დანართი N2–ის მიხედვით;

დ) წარმოდგენილი ფორმა შევსებული სრულყოფილად:

1. პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება _____

2. ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი _____

3. პრეტენდენტის იურიდიული/ფაქტიური მისამართი _____

4. საიდენტიფიკაციო კოდი_____

5. ტელეფონის ნომერი_____

6. ელექტრონული მისამართი_____

7. მომსახურე ბანკი_____

8. ბანკის კოდი_____

9. ანგარიშის ნომერი_____

10.ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი_____

11. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა (სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადების მიღების დაწყებიდან არანაკლებ 20 (ოცი) კალენდარული დღე)_____

შენიშვნა(1): პრედენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები (დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები) უნდა წარმოადგინოს შემსყიდველ ორგანიზაციაში, მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

შენიშვნა(2): არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის დაწყების (ელექტრონულ სისტემაში ,,ტენდერი გამოცხადებულია“) თარიღს.

3. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზების მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთება ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

5. ანგარიშსწორების პირობები:

5.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონდებლობით

გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გადასახადის გათვალისწინებით.

5.2 ანგარიშსწორწბა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

5.4 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურისა (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი) და მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენა 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.5 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. საქონლის მიწოდების ვადებია: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

7. დიზელის საწვავის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. ხელვაჩაური, სოფ. სალიბაური.

8. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები დიზელის საწვავი (01 L62) რაოდენობა 4700 (ოთხიათას შვიდასი) ლიტრი. მისაწოდებელი დიზელის საწვავი უნდა აკმაყოფილებდეს ,,დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმებს, ანალიზის მეთოდების და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის N 238 დადგენილების განსაზღვრულ მოთხოვნებს.

9. ფასების ცხრილი

1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი დანართი N4 –ის მიხედვით; პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში ერთეულის ფასი მოცემული და განფასებული უნდა იყოს ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 25 მუხლის 31–ე პუნქტით განსაზღვრული შემდეგი ფორმულის შესაბამისად: ,,C=Rx(P+Z)x(100%+18%)xD/1000”, სადაც

ა) C= ნავთობპროდუქტების (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარებში);

ბ) R= წინადადების წარმოდგენის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში (ცვლადი კომპონენტი);

გ) P= წინადადების წარმოდგენის დღიდან PLATT EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB MED (italy) ბირჟაზე დაფიქსირებულ (გამოქვეყნებულ) საწვავის ერთი მეტრული ტონისა სამი მონაცემის საშუალო ფასი (ცვლადი კომპონენტი);

დ) Z= ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადების ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი;

ე) 18 % = დღგ;

ვ) D= წინადადებით წარმოდგენილი ნავთობპროდუქტების (საწვავის) სიმკვრივის მაჩვენებელი.

დამატებითი ინორმაცია

1. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
2. წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის (იხ. დანართი N 1) პირობაზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენის, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 30 (ოდაათი) კალენდარული დღით, წინადადების მიღების დაწყების მომენტიდან და საფასურის გადახდის შემდეგ.

სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრთა ვინაობა და საკონტაქტო
ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და
განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ

1. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: თამაზ კახიძე - სატენდერო კომისიის აპარატის თავმჯდომარე, მისამართზე: ხელვაჩაური, სოფ. ჩხუტუნეთი, საკონტაქტო ტელეფონი:
   mob.: +995 77 30 42 62;
2. სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, ნათელა კახიძე – მისამართზე: ხელვაჩაური, სოფ. ჩხუტუნეთი, საკონტაქტო ტელეფონი: mob.: 893 78 57 36;

პროექტი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიო შესყიდვების შესახებ №

სოფ. ჩხუტუნეთი **"-------" ---------- 2011 წელი**

ერთის მხრივ სსიპ სოფელჩხუტუნეთის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ კახიძის სახით და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი ---------- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, № spa ..... გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2.„ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია დიზელის საწვავის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებისთ გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

3.შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტია ---------- ლიტრი დიზელის საწვავი;

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---—---- (----------)
ლარს.

4.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს---------- ლარს, დღგ-ს, ტრანსპორტირების, აქციზის, დაზღვევის და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

_____ _____

შემსყიდველი მიმწოდებელი

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ---------- მდე .

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა. სპეცანგარიშფაქტურა).

7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში).

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 6.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს ხუთი საბანკო დღის ვადაში.

8. ფასები

8.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში

8.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს ----------(----------) ლარს

8.3 საწვავის ფასების ცვლილება მოხდება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

8.3.1 C=Rx(P+Z)x(100%+18%)xD/1000, სადაც

ა) C= ნავთობპროდუქტების (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში)

ბ) R= წინადადების წარმოდგენის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში (ცვლადი კომპონენტი)

გ) P= წინადადების წარმოდგენის დღიდან PLATT EUROPEAN MARKETSCAN-is MED (italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონისა სამი მონაცემის საშუალო ფასი (ცვლადი კომპონენტი).

დ) Z= ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი;

ე) 18%= დღგ;

ვ) = წინადადებით წარმოდგენილი ნავთობპროდუქტების (საწვავის) სიმკვრივის მაჩვენებელი;

8.3.2 “C” – ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ “R”-ს ან/და “P”-ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელის იწვევს “C”-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ (მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებულ) ფასთან მიმართებაში, ამასთან, “C” უნდა იყოს, შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს შესაბამისი მიმწოდებლის ქსელში იგივე პროდუქტის ერთ ლიტრ საწვავზე მინიმუმ სამი თეთრით (0,03 ლარით) ნაკლები.

8.3.3 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში შეტანილი იქნება ისეთი

ცვლილება, რომლითაც შეიცვლება 8.3.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული ფასის გაანგარიშების ფორმულა, ამ შემთხვევაში მხარეები აფორმებენ წერილობით შეთანხმებას 8.3.1 ქვეპუნქტის ცვლილების თაობაზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

_____ _____

შემსყიდველი მიმწოდებელი

8.3.4 ფასების ცვლილებების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

9. მხარეთა უფლება მოვალეობანი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

9.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

9.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან ---------- რაზედაც მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პასუხისმგებლობის გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

_____ _____

შემსყიდველი მიმწოდებელი

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ სოფელ ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის დირექტორი თამაზ კახიძე.

15.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

15.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

_____	_____
შემსყიდველი	მიმწოდებელი

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები „შემსყიდველი" „მიმწოდებელი"

სსიპ სოფელ ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა ----------

საიდენტიფიკაციო კოდი 248386786 ----------

მისამართი: ხელვაჩაური, ჩხუტუნეთი ----------

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი" ----------

ბანკის კოდი BAGAGE 22 ----------

ანგარიშის № GE78BG0000000886744500 ----------

სსიპ სოფელ ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის

დირექტორი: თ. კახიძე

დანართი №1

ა ფ ი დ ა ვ ი ტ ი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისაგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

• ჩემთვის ცნობილია,რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა,რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

• უფლებამოსილი ვარ პრეტედენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარმოვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

• ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე შესაბამისად უფლებამოსილია პრეტედენტის მიერ;

• ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტედენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

• მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტედენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

* სატენდერო წინადადების ფასი;

* სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი;
* სატენდერო წინადადბის წარდგენა ან წარდგენისაგან თავის შეკავება;
*ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
* შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;
* სატენდერო წინადადების პირობები პრეტედენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსჯადობის მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტედენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195-1 მუხლის შესაბამისად.

დანართი №2

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის: ----------

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში “მიმწოდებელმა” ---------- ტენდერში
წარდგენილი თავისი ----------

(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.
წინამდებარე გარანტია ძალაშია ----------

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

--- ---

(თარიღი)

(მისამართი)

დანართი №3

ფასების ცხრილი

(პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი შემდეგი ფორმის შესაბამისად)

პრეტენდენტის დასახელება ————————————————————————

საქონლის დასახელება --

საქონლის ძირითადი მახასიათებლები--

წარმოებელი ქვეყანა --

რაოდენობა --

ერთეულის ფასი --

საერთო ღირებულება --

მიწოდების ვადა -

მიწოდების ადგილი: ხელვაჩაური სოფელი ჩხუტუნეთი. ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა

პრეტენდენტის ხელმოწერა ————————————